ხელშეკრულება #101

ქ. თბილისი **2022 წ.**

ერთის მხრივ, **აფხაზეთის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო, ს/კ 249259582** (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი მისი მინისტრის მოადგილის **გიორგი ბულისკერიას** სახით, და მეორეს მხრივ, **შპს ,არადანი ინფო", ს/კ 404423325** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით ალელიშვილის** სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში -ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -„ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება"- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურეობის" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დანართით გათვალისწინებული საქონლის ბეჭდვის მომსახურების (CPV79800000) გამარტივებული შესყიდვა ხელშკრულების პირობების შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **447,50 ლარს (ოთხას ორმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლს ახდენს სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო-ლოჯისტიკური სამმართველოს უფროსი - ვასილ კაციაშვილი.

4.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიწოდებული მომსახურეობის ხარისხის ინსპექტირება.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა მომსახურების პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით

გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

მუხლი 5. მომსახურეობის ხარისხი და გარანტია

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი (გაწეული მომსახურება) არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა (გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება).

5.2. ,,შემსყიდველი'' უფლებამოსილია წარადგინოს პრეტენზია განხორციელებული მომსახურების ხარისხისა თაობაზე. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია წერილობითი ან სიტყვიერი შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყოს მუშაობა გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის ან შეცვლისთვის საჭირო ზომების განსახორციელებლად და დაუყოვნებლივ გამოასწოროს ხარვეზი.

მუხლი 6. მომსახურების განხორციელების პირობები

6.1. მომსახურების განხორციელების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან **2022 წლის 18 მაისის ჩათვლით**.

6.2. მომსახურების განხორციელების ადგილია: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N57.

მუხლი 7. მომსახურეობის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების გზით, რომელიც დგება და დასტურდება მხარეთა მიერ ამისათვის სათანადო უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო-ლოჯისტიკური სამმართველოს უფროსი - ვასილ კაციაშვილი.

7.2. მიღება–ჩაბარების აქტის შედგენისას ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია ,,შემსყიდველს'' წარუდგინოს ანგარიშ–ფაქტურა.

მუხლი 8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ადგილი

8.1. ,,მიმწოდებელთან'' ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.2. ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან'' განხორციელდება, მიღება–ჩაბარების აქტის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

8.3. ანგარიშსწორებისათვის ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს მიღება–ჩაბარების აქტი (დედანი) ან/და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.

მუხლი 9. ,,შემსყიდველის'' უფლება–მოვალეობანი

9.1. ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს, მოსთხოვოს ,,მიმწოდებელს'' წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეუფერხებელი გაწევა, ყველა ვალდებულების შესრულება და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ,,შემსყიდველის'' უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

9.2. ,,შემსყიდველი'' ვალდებულია აუნაზღაუროს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად.

მუხლი 10. ,,მიმწოდებლის'' უფლება–მოვალეობანი

10.1. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

10.2. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა.

10.3. ,,მიმწოდებელი'' პასუხისმგებელია იმ ზიანზე, რომელიც შესაძლებელია გამოწვეული იქნას უსაფრთხოების წესების უგულებელყოფით.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%–ის ოდენობით.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

14.2. მხარეთა მიერ ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში, საქმე გადაეცემა სასამართლოს. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ნორმები.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი განისაზღვრება ხელმოწერის დღიდან **2022 წლის 20 ივნისის** ჩათვლით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

16.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის

აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში.
16.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ქართულ ენაზე, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
16.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
16.5. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.
16.6. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა.
16.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო** მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N16 ტელ: 599 855285 ს/კ 249259582 ხაზინის ერთიანი ანგარიში TRESGE22 E-mail: devnilta.info@gmail.com **მინისტრის მოადგილე** **გიორგი ბულისკერია**	**მიმწოდებელი :** **შპს ,,არადანი ინფო”** მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N57 ტელ: 551951195 ს/ კოდი: 404423325 ს/ს „თიბისი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE54TB7038636080100005 E-mail: ardinfo7@gmail.com **დირექტორი** **დავით ალელიშვილი**

Ministry of Internally Displaced Persons - Exiles from the Autonomous Republic of Abkhazia

Подписано цифровой подписью: Ministry of Internally Displaced Persons - Exiles from the Autonomous Republic of Abkhazia
Дата: 2022.05.17 15:51:09 +04'00'

ხელშეკრულების დანართი

#	საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) დასახელება	ზომის ერთ.	რაოდ.	ერთეულის ღირებ. (ლარი)	საერთო ღირებ. (ლარი)	CPV კოდი
	ქვემოთ ჩამოთვლილი საქონლის ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები					
1	რეზერვისტის მოწმობა 220 გრ.ქაღალდზე ა5 (სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტერიტორიული ორგანო)	ცალი	150	0,55	82,50	79800000
2	წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმ. (სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტერიტორიული ორგანო)	ცალი	200	1,05	210,00	
3	წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმ. (სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანო)	ცალი	100	1,05	105,00	
4	ბლანკის დაბეჭდვა	ცალი	100	0,50	50,00	
	სულ				**447,50**	

შემსყიდველი: **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო** მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N16 ტელ: 599 855285 ს/კ 249259582 ხაზინის ერთიანი ანგარიში TRESGE22 E-mail: devnilta.info@gmail.com **მინისტრის მოადგილე** **გიორგი ბულისკერია**	**მიმწოდებელი :** **შპს ,,არადანი ინფო"** მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N57 ტელ: 551951195 ს/ კოდი: 404423325 ს/ს „თიბისი ბანკი" ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE54TB7038636080100005 E-mail: ardinfo7@gmail.com **დირექტორი** **დავით ალელიშვილი**